ყოველკვირეული დაიჯესტი ტერორიზმსა და ძალადობრივ ექსტრემიზმში

18-22 სექტემბერი, 2023

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

თალიბანი არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ

თალიბანმა ცენტრაული ღურის პროვინციაში არსებული, ავღანეთში დაფუძნებული ,არასამთავრობო ორგანიზაციის 18 წარმომადგენელი, მათ შორის ერთ-ერთი სავარაუდოდ ამერიკელი, დააკავა და ქაბულში გადაიყვანა. დაკავების მიზეზი და დაკავებულთა მდგომარეობა, ამ დრომდე უცნობია.

16.09.2023

დრონით თავდასხმა ჩრდილოეთ ერაყის ტერიტორიაზე

თურქული დრონით თავდასხმას ჩრდილოეთ ერაყში ემსხვერპლა სინჯარის წინააღმდეგობის დანაყოფის (Sinjar Resistance Units YBS), ქურთების მუშათა პარტიასთან (PKK)აფილირებული ერთეულის, სამი მებრძოლი. ერაყში და სირიაში მიმდინარეობს ხანგრძლივი თურქული კამპანია ქურთების მუშათა პარტიის, სინჯარის წინააღმდეგობის დანაყოფისა და სახალხო დაცვის სამხედრო დანაყოფების (YPG) წინააღმდეგ, რომლებიც ანკარის მიერ ტერორისტულ ორგანიზაციად არის აღიარებული.

17.09.2023

ალ-შაბააბის თავდასხმა ეთიოპიურ სამხედრო კოლონაზე

ჰარაკატ ალ-საბააბ ალ-მუჯადინის დანაყოფი სომალში, ბაკულის რეგიონის სამხრეთ-დასავლეთით, თავს დაესხა ორ ეთიოპურ სამხედრო კოლონას. დაპირისპირება აფეთქებით დაიწყო და ხუდურის მერის ომარ აბდულაჰი მოჰამუდის განცხადებით მას ალ-შაბააბოს დაახლოებით 50 მებრძოლი ემსხვერპლა. დაპირისპირების შესახებ გააკეთა განაცხადი ალ-შაბააბმაც სადაც განაცხადა, რომ დაიღუპა 167 ეთიოპელი სამხედრო, გაანადგურეს მათი მანქანები და ხელთ იგდეს სამხედრო აღჭურვილობა.

18.09.2023

ჩრდილოეთ სირიის დაპირისპირება

ქურთების ხელმძღვანელობით შეიარაღებულმა ძალებმა ჩრდილოეთ სირიაში, თურქეთის მიერ მხარდაჭერილ ოპოზიციურ ძალაზე თავდასხმა განახორციელეს, რასაც 13 მებრძოლი ემსხვერპლა. ოპოზიციური ძალები თავდასხმაში ადანაშაულებენ ქურთების მიერ მართულ დემოკრატიულ ძალებს, თუმცა, ამერიკის მიერ მხარდაჭერილი დაჯგუფება მომხდარზე პასუხისმგებლობას არ იღებს.

18.09.2023

ნგრევა ტერორიზმის საპასუხოდ

ისრაელის ჯარები სამი პალესტინელის საცხოვრებლის გასანადგურებლად ემზადებიან, რომელთაც ბრალად ედებათ ჰარაკატ ალ-მუქავარმა ალ-ისლამის (ქართ.ჰამასი) ტერორისტების დახმარება ისრაელის ოთხ მშვიდობიან მოქალაქეზე შეიარაღებული თავდასხმის განხორციელებაში დასავლეთ სანაპიროს სოფელ ურუფში. სახლების ნგრევა ერთ-ერთი სასჯელია, რომელიც მიესჯება ტერორისტულ თავდასხმებში ბრალდებულ პალესტინელებს.

19.09.2023

შეიარაღებული დაპირისპირება სამხრეთ-აღმოსავლეთ ნიგერიაში

შეიარაღებული პირები ნიგერიის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში თავს დაესხნენ უსაფრთხოების ძალებს, რასაც, არაზუსტი ინფორმაციით დაახლოებით რვა უსაფრთხოების თანამშრომელი ემსხვერპლა. ინციდენტი იმოს შტატში, ეჰიმე

მბანოს რაიონში მოხდა, სადაც ნიგერიის უსაფრთხოების სააგენტოს გუნდი იყო განთავსებული ტერიტორიაზე სიმშვიდის შესანარჩუნებლად.

19.09.2023

ძალადობის ესკალაცია ისრაელ-პალესტინაში

ისრაელის სამხედრო ქმედებებს დასავლეთ სანაპიროზე და არეულობას ღაზას სეტქორში ემსხვერპლა ექვსი პალესტინელი, რომელთაგანაც სულ მცირე სამი მებრძოლი იყო. ბოლო ესკალაციას, რომელიც ძალადობის ერთწლიან ზრდას აღნიშნავდა, ოთხი ადამიანი ემსხვერპლა, ხოლო ცალკეულმა დაპირისპირებამ ღაზას სექტორში, ორი მოქალაქის სიცოცხლე იმსხვერპლა.

20.09.2023

აზერბაიჯანის „ანტი-ტერორისტული“ ქმედებები მთიან ყარაბაღში

აზერბაიჯანმა მთიან ყარაბაღში განხორციელებული შეტევა, „ტერორისტული პროვოკაციების“ პასუხად და ანტიტერორისტულ ქმედებად შერაცხა, რომლის მთავარი მიზანი, აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, იყო სომხური ძალების განიარაღება და მათი რეგიონიდან გასვლის უზრუნველყოფა. ეთნიკური სომეხი ხელისუფლება აკონტროლებს რეგიონს სომხეთის მხარდაჭერით და აზერხაიჯანს მიაჩნია, რომ მშვიდობის მიღწევის ერთადერთი გარანტი, სომხური ჯარების რეგიონიდან გამოსვლა და სეპარატისტული მთავრობის დაშლაა.

20.09.2023

ალ-შაბააბის ტერაქტი სომალიში

სომალიში, გედოს რეგიონში გზისპირა აფეთქებას, რომლის სამიზნე ქალაქ ლუუკსა და დულოუს შორის განთავსებული სამხედრო კოლონა იყო, ემსხვერპლა 11 სამთავრობო ჯარისკაცი და განადგურდა აფეთქებაში მოყოლილი სამხედრო მანქანა. ტერაქტზე პასუხისმგებლობა “ჰარაკატ ალ-შაბაააბ ალ-მუჯაჰიდინ-მა“ (შემოკლ. „ალ-შაბაააბი“) (ქართ. „ახალგაზრდები / ახალგაზრდობა“) აიღო.

20.09.2023

ანტიტერორისტული გლობალური ფორუმი

ეგვიპტისა და ევროკავშირის თანათავმჯდომარეობით ნიუ-იორკში გაიმართა ანტიტერორისტული გლობალური ფორუმის (GCTF) მეცამეტე მინისტრთა შეხვედრა, სადაც ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სამეჰ შუკრიმ, ხაზი გაუსვა საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობას ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

20.09.2023

IDF-ის ყოფილი წევრის ისტორია

კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო დაზვერვის ცენტრმა, მოახერხა დაემყარებინა კავშირი 22 წლის მარიამთან, რომელიც, ისლამისტ მეამბოხეებთან ერთად ორი წლის განმავლობაში აღმოსავლეთ კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტროპიკულ ტყეში ცხოვრობდა. მარიამი იძულებით გაიტაცეს და ასევე იძულებით გახადეს გაერთიანებული დემოკრატიული ძალების (ADF) უგანდელი მეამბოხე მოკავშირის ცოლი. 2021 წელს კონგოსა და უგანდის გაერთიანებული ძალები ებრძვიან ADF-ს, რომელმაც გააფართოვა თავისი გავლენა კონგოსა და უგანდაში.

21.09.2023